# დღგ-ით და მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი 1114

## ფაქტობრივი გარემოებები

- დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულმა საწარმომ გაწეული მომსახურება ასახა საბუღალტრო დოკუმენტაციაში, თუმცა არ ასახა ერთობლივ შემოსავალში და არ დაბეგრა დამატებული ღირებულების გადასახადით
- ვარიანტი 1:
  მომსახურება განხორციელებულია სახელმწიფო ორგანოსათვის უსასყიდლოდ
- ვარიანტი 2:
  მომსახურება გაწეულია სხვა პირისთვის

## შეფასება

- პირველ ვარიანტში, პირის ქმედება მართლზომიერია სსკ-ის მე-20 მუხლის მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის საფუძველზე სახელმწიფო ორგანოსათვის მომსახურების უსასყიდლოდ გაწევა არ ითვლება მიწოდებად
- პირველ ვარიანტში, საწარმოს უფლება აქვს, განახორციელოს უსასყიდლო მომსახურების მიწოდების მიხედვით როგორც ჩათვლა, ასევე გამოქვითვა
- მე-2 ვარიანტში, საწარმოს გაწეული მომსახურება უნდა დაებეგრა დღგ-ით და აესახა ერთობლივ შემოსავალში

## ღონისძიებები

- მე-2 ვარიანტში, საწარმოს გაეზრდება დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვა და ერთობლივი შემოსავალი, შესაბამისად დღგ-ის და მოგების გადასახადის ნაწილში განხორციელდება შესაბამისი საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრა
- საწარმოს, შესაბამის დეკლარაციაში გადასახადის შემცირების შემთხვევაში, დაეკისრება სსკ-ის 132-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა